

## კოპალა

(ძველი ამბავი)

მთვარე არა ჩნდა ცაზედა,  
ვარსკვლავნიც მიჩქმალულიყვნენ:  
ნისლნი, დადლილნი ცურვითა,  
მთის ყურვთ მიმალულიყვნენ:  
მთანი მალლაით დასცქერდნენ,  
ღრმა ფიქრით შაბურვილიყვნენ:  
ბეჩავებს ბევრი ეტირნათ,  
სრულ ცრემლად დაწურვილიყვნენ-  
არაგვიც ჩუმად მასჩქეფდა,  
თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა,  
ბუნდრად და გაურჩეველად  
კლდჳთა კალთაზე ივიოდა.  
ხელუხლებელსა, უღრანს ტყეს  
ბუვი საბრალო ჳკიოდა.  
ბეჩავი დღესაც ხომ სტირის,  
მაშინაც გული სტკიოდა!  
ხავილ-წკნავილი ნადირთა  
ცათა კიდემდე დიოდა:  
მივარდნილს ჳიუხეჳშია  
შავარდენიცა წიოდა.  
ჩუმად მოვიდის ირემი,  
დასწაფებოდა მდინარეს,  
მაგრამ ტყესავე მიჳმართის.  
სიყრუვ-სიჩუმით მძვინვარეს,  
რა ნახის კვალი დევების  
გარს მოსდებოდა იმ არეს.

უცბად გაჩუმდა სუყველა,  
მხეცთ ხმა არ ისმის ტყიდამა,  
უცხო ხმა გაჩნდა, ღრიალი,  
აქეთ მთით, იქით მთიდამა:  
გამოჩნდნენ შავნაბდიანნი  
გაღმა-გამოდმა კლდიდამა:  
შავ-ბნელთ და უზარმაზართა  
გრგვინვით ჩამოვლნეს ჳალანი,  
კაცისა სისხლით ეღებათ  
ხელ-ფეხი, პირის-ბალანი:  
სინჯავენ წყლის კიდევებზედ,  
ხომ არსად არი კვალია,  
კაცმა, ან მხეცმა იდუმალ

წყალი ხომ არვინ დალია.  
გაბლანტებულა სოფელი,  
მკვდართ ბინას დაჰფერებოდა;  
ჭარში ვერავინ გამოდის,  
ხალხი ჭერს მოჰფარებოდა.  
ნადირთა მთის წვერთ მიჰმართეს,  
ნიავესა სომდენ მთისასა;  
ფრინველნი აიყარნიან,  
ნამსა ჰკრეფდიან ცისასა.  
მიწაზე ვერვინ დაჰლევდა  
წვეთსა, ერთს ცვარსა წყლისასა-  
შრება გული და გონება,  
ძმა სისხლსა სომდა ძმისასა.  
ძმას ძმები შამაელივის,  
სისხლსა იძებდის სხვისასა.  
დევთ დარბაზობას რაც ნოჰრჩა,  
იმათ ლაშ-პირსა მგლისასა,  
ციხეს აგებენ დევები,  
ციხეს კაცების მგლისასა.  
ცრემლით ვინ ვის-და იტირებს,  
თავი გაჰხდია ჭირადა:  
ხელის შექცევას ვერ ჰბედვენ  
ხელშეუქცევის მტრისადა.  
როცა გადმოჩნდის ღრუბელი,  
წვიმამ დაიწყის შრიალი,

დევთ ლახტი მიუღირიან  
და ასტეხიან ღრიალი:  
გაჰქერის წვიმა და ღრუბლებმა  
უკვენ იწყიან ტრიალი.  
ლამის სიკვდილმა სიცოცხლის  
დაისაკუთროს სახელი,  
გაჰქერეს ღვთის მახსენებელი,  
არვინ აანთოს სანთელი.  
ლამის სიყვარულს დაეწვას  
ტურფა გვირგვინი იისა:  
ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს.  
გახდეს საჭმელად ჭიისა.  
რად-და ვის უნდა მაშინა  
ან მზე, ან მთვარე ცაზედა,  
ხშირად ყვავილით ნაქარგი  
მწვანე ბალახი მთაზედა:  
გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა  
ჩქეფა, ჩქრიალი ხევისა,

დღის წასვლა, ღამის დადგომა,  
სიტკბო ბუღბუღის სტვენისა?!  
დარჩეს მარტოლა ღრიალი  
გაუმამღარის დევისა?!  
უხალხოდ ან დევს რად უნდა  
ძალა, დევობა წყეული?  
რატომ არ ჩნდება უფლისა  
მეშვლობა ციდამ სრეული?  
რად არ იშლება დევების  
შხამით ავსილი სხეული?  
ღმერთმ რად გახადა ქვეყანა  
დევთა სათრევლად ნეტარა?  
მითამ იმედად ისა გვყავ  
განსაცდელის დროს, ყველგანა,  
მითამ ის არის მფარველი  
განუმორებლივ ჩვენთანა.  
არ-ოთ გასწირავს ქვეყანას,  
არ გაასწორებს მტვერთანა<sup>1</sup>

1 1

ღამესა უფრო აღამებს  
დიდი ტყე ფიჭვ-ნარიანი:  
თელა, ვერხვი და წიფელი,  
ცაცხვი ტანჯავარიანი,  
მიყრით ერთურთში დაქსულნი, -  
მუხა თავკარავიანი.  
მზის სხივით არ იპოხება  
დიდი ტყე შალდაყიანი,  
სელუხლებელსა მიდამოს  
არსად სჩან ნაკაფიანი:  
აქ ცულ არ აჩქამებულა,  
ფეხ არ დადგმულა მუშისა:  
ნადირთ ულახავ ბალახნი,  
მისდევს ნავალი შუნისა,  
მოსცმია გარსა, მიდამოს,  
ნისლი ყეავილთა სუნისა.  
გორი-გორ შასდევს დამთხვრისა  
გრძელი ნაფრენი ირმისა:  
კეფხვებს უთელავ ტერფებით  
ბრტყელი ფოთლები ღიმისა.  
ჩადის, ჩატირის ხევი-ხევ  
ტალლა ნაკადის ცივისა.  
ჩაიკლავს გულში ვარამსა,

ბუვი საბრალოდ ჰკვივისა.  
მაშ, ეს საყდარი რისაა  
დახავსებულის ჯვართა,  
უდაბურს ადგილს მდგომარე  
გათლილის სიპის კართა?!  
ციდამ ღვთისაგან იფარვის,  
დაბლა - იფნების ჯართა.  
შიგ ის ვინლაა მოხუცი  
ჭხარ-ილივ წითლის ფართა?  
მარჯვენით ლახტი უჭერავ,  
მარცხენას ამკობს ჯვართა?  
რამ აატირა მოხუცი "  
ეგრე ცრემლითა ცხართა?  
რას ევედრება უფალსა  
სულთქმა.ოხვრითა ჩქართა?

ეს ვინ მოდიან ციდამა  
ხელში ხმლით, ალვის ტანითა?  
განათდა მთელი ქვეყანა  
ცხრის მზითა, ოცის მთვართა"  
ღვთიშვილთ უმახეს კოპალას:  
"ღმერთმ ნება მოაცა, ძალითა  
ღ.ლიე ქვეყნის მღველები,  
ლასტი იხმარე ტართა! "  
დევთა ასტეხეს ტირილი  
მალა მთით, დაბლა ბართა:  
"დავიწვით, ნათელმა დაგვწვა  
სახე, თვალეხი ტანითურ,  
ჩვენი გუნება ირევა,  
მოვიწამლენით ჯანითურ".

### III

მიწა დაიდრა მთებიდამ,  
ქვეს მოაქვს ხევში ჩხრიალი,  
სდგას ბობოქრობა დევების,  
ყურის მგლეჯელი გრიალი.  
მოდის ნასროლი ლოლები,  
ისრის ზროს მათქვ ძგრიალი-  
იძაბვის ძალი მშვილდისა,  
აგერ მოგორვენ დევები:  
აივსო დევთა ლეშითა  
ტყე-ველი, დაბლა - ხევები.  
რამ რა დაზარდნა ესეთნი,

თითო გერგეტის სწორია:  
რა ტყე ჰფარვიდა ამათა,  
ან რა სჩრდილავდა გორია!  
ერთი ნაკრავი როგორ ჟღერს  
ერთის მოხუცის ბერისა?!  
რად არ ხელახლად სდგებიან,  
ცამდი ამშვებნი მტვერისა?!  
მელარ დევობენ, რა ჰხვდებათ  
ლახტი სხვა-რიგის მტერისა!  
ვერც თავს მაიბმენ ხელახლად,

ვერც გულს გაჭვრეტილს ისრითა.  
სული ამაჰხდათ, წყდებიან  
უძეოდ, მწარის ფიქრითა.  
აყროლდა მიწა, ბნდებოდა  
ბრიყვის დევების მძოვრითა,  
შავი გამოდის გველები  
დევთა სისხლისა მორვითა.  
"გასწყდით, დამლევნო ქვეყნისა, --  
ზედ დაჰვედრიდა ბერია:  
გასწყდით, კაცთ ტომის მწამლავნო,  
სიკვდილი თქვენი ჯერია.  
მოკვდი, სად მირბი, ბელელავ,  
ფშავი კარგა ხანს გჭერია,  
დაიქცეს, ახლა დრო არი,  
დევთ მეუფება შენია!"  
დევთ სულნი დაკოდნილები  
ქვესკნელში ჩაიყარნიან,  
წინ მაეგებნენ მაცილნი,  
პირისპირ შაიყარნიან:  
დევთა ამბავსა ჰკითხავდენ:  
დოინჯი გაიყარნიან.  
დევთ სულთ ასტეხეს ტირილი,  
თვალს ხელნი დაიფარნიან:  
- ზეცამ დაგვლივნა, ტიალმა,  
ცისა ნათელმა მწვავემა,  
ერთის მოხუცის ბერისა  
ლახტის ცემამა მწარემა:  
ნათელმა დაგვწვა თვალები,  
ჯანი დაგვიდნო ტანისა:  
ზესკნელს ჩვენ აღარ გვეცხოვრის,  
ბნელი აღარ გვშველს ღამისა.  
დევთ თვალნ დახუჭნეს, დაიდვეს  
ბნელი ქვესკნელი ბინადა:

მაიგონებენ ძველს დროსა,  
დაიკვნესებენ ხშირადა.  
მაწა ექცევათ თავზედა,  
დასდით წვიმა და ღვარია,  
ათრთოლებთ ტანში სიცივე,  
ჩამოსდით ცრემლი მწარია.

წასასვლელ არსაითა აქვთ,  
ყველგნით დახშული კარია.  
აღარსად იმათ ლახტები,  
აღარც ხმალი და ფარია,  
აღარც ადგომის იმედი  
იმათთვის არსად არია!

1?

თენდება. ნამი დაჰყრია  
მიწასა აღმასიანი.  
არაგვსა პირი უცინის,  
ტანი უშვენის ხმლიანი.  
ულოცვენ გამარჯვებასა  
მისნი კიდენი კლდიანნი.  
მოსქდა მთითა და ბარითა  
ოთხით მავალნი-დ ფრთიანნი, --  
წყალსა სმენ არაგვისასა  
ჯიხვნი, ირემნი რქიანნი.  
ჩამოდის დევთა ლეშზედა  
სოვნი უმსგავსნი, ბჯღლიანნი, -  
რა მადლი არი, წყლით დამდენ  
შვლებიც თვალ-ლამაზიანნი!  
გადარჩენიან წყურვილსა,  
თუმც ბევრი ექმნათ ზიანი.  
მოდგა დიდი და პატარა,  
კოკები მოაქვთ წყლიანი.  
ჰლოცვენ ხელგაშლით თავის მხსნელს,  
ვინც მოჰკლა ძალა ტიალი.  
ქვეყანამ, გზა-კვალ აშლილმა,  
წალმა დაიწყო ტრიალი:  
ხეებსაც ძირი დაუღბა,  
ფოთოლთ დაიწყეს შრიალი:  
ვეფხვიცა ჰხვრეპდა გუბესა,  
გული გააღბო მწყურვალი.  
მიკვირს, რით გასძლო, არ გატყდა  
წყლით უგრილები, მხურვალი!  
კლანჭებსაც იბანს როსტომი,

ტყის სიდუმლის მკურნალი.

ხშირნი მოდიან ღრუბელნი,  
ლაღად მიდგიან-მოდგიან.  
ცამ გადიწმინდა, ტურფანი  
წვრილნი ვარსკვლავნიც მოდიან.  
დაულბა გული ქვეყანას,  
ისევ სიცოცხლით ხარობსა,  
დამთვრალი ქვეყნის შვენებით  
გაღმა ბულბული გალობსა.  
მადლობა შენთვის, უფალო,  
ბუნება აღარ წვალობსა!  
ტურფა დაესხა ისევა  
დამჭკნარს ფოთოლი იასა.  
აღარ აშინებს დევის ხმა  
მაგ სადედუფლოს თმიანსა.

V

ასტყდა ელვა და ქუხილი,  
წვიმამ დატემა გორები.  
- სად მიჰრბი, ნეტავ, ბედელავ,  
სასჯელს რად გაემორები?!  
საყდარს ეკედვლის ბედელა,  
დაჰვიწყებია სწორები:  
საყდრის კარს დაუჩოქია,  
გულზედ უწყვია ტორები.  
- მომირთმევია, კოპალავ,  
აღვენად ფარი და ხმალია,  
დევთ საომარი აბჯარი,  
ოქრო, ვერცხლი და თვალთა.  
ცხრა ეხი სავსე ოქროთა,  
ვერ-სით ჩაუვა წყალია:  
ხმალშეუვალი ბექთარი,  
გაუტეხელი რვალია.  
რაად დაგვლუპე, კოპალავ,  
დევთ რად წაგვართვი ძალია?!  
დევთაცა გვქონდა ფიქრადა  
ზეცას მიგვეპყრო თვალთა  
და დაგვეჭდია ქედზედა  
ღვთის საამური ვალია.

მინდა ღმერთს შენებრ მივაჩნდე,

შენებრ სიწმინდის მქონია:  
დევობის ძალა რომ მერთმის,  
მინდა სხვად მქონდეს ღონია.  
უძალღონობას, სისუსტეს  
ვერ თვისობს ჩემი გონია.  
რალა შენ მოგცა უფალმა  
ძალი, არვისგან ძლეული?  
ასჯერ დიდი ვარ შენზედა,  
ასჯერ მეტი მაქვს სხეული!  
სიზმარში ვარო მგონია,  
ვერა ვარ გამორკვეული...  
მიშუამავლე უფალთან,  
შენებრ შამმოსოს ძალითა,  
მეშვლად გედგები ბრძოლაში  
ძმურად, ძლიერის მკლავითა.  
- სიტყვა ადვილად ითქმევა,  
ბილწო, ავსილო შხამითა.  
ვერ მოატყუებ უფალსა,  
მოხეტიალევ ღამითა.  
სიკეთევ გინდა ხელთ იგდო,  
ძლევიტ გახდილო ავადა,  
ორივეს ამუშავებდე,  
ბოროტს-ხმლად, კეთილს-ფარადა?!  
ნუ ცრუობ, შავო, შავ ბნელო,  
უნდა ჩამაჰდნე შავადა. "

შენში კეთილი იმავ წამს  
გადაიქცევა შხამადა.  
გცდი ჯვართ, შხამის გუდაო,  
გამოგცდი ემავ ჟამადა.  
ჯვარი აილო კოპალამ,  
უთხრა: - ემთხვიე ამასა.  
ბელელამ ღაშნი მიჰმართნა,  
ვერ სწვდება... იჩენს ძალასა.  
ვერ ახლო პირი, არ იქნა,  
ჯვარად გადაბმულს კალასა:  
ცეცხლი დაეცა ზეციდან,  
მოედვა, როგორც ჩალასა.

დაიწყო ღმეჭა ბეჩავმა,  
შექნა საბრალო ღრიალი:  
გმინვა უსასო სიკვდილის,  
გულის მომწყვლელი ხრიალი.  
დევთა მეუფის დიდისა  
ფერფლი-ღა დარჩა ტიალი.

ფერფლიდან გაჩნდნენ უმსგავსნი  
შავნი ბუჭყანი-დი ჭიანი: -  
წკრტიალით ტყესა მიჰმართეს,  
სადაც ხარობენ იანი.  
ია თალხ-კაბა ამოეა, -  
ქალი მგლოვარე მმაზედა.  
ზაფხულის ცქერა სწადიან,  
პიროს დაბანა ნამზედა.  
არ დააცლიან, იცოცხლოს,  
მიუხვდებიან კარზედა,  
შმაგად უჭამენ ფესვებსა,  
მერმე გადავლენ თმაზედა.  
მოკლე სიცოცხლე იასა  
იმ ჟამით აწევს თავზედა.  
დილა სალამოს ნიშნს უგებს,  
დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,  
ნისლნი, ათას მხრით მომდგარნი,  
დაისვენებენ მთაზედა.